გენდერული თანასწორობის როლი და გავლენა საჯარო პოლიტიკაში

მარიკა ჯაბუა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ეგუტია, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

წინამდებრე ნაშრომში განხილულია საქართველოს თანამედროვე საზოგადოებასა და საჯარო პოლიტიკაში არსებული გამოწვევები გენდერული თანასწორობის საკითხთან მიმართებაში.

ნაშრომი აცნობს მკითხველს იმ შედეგებს, რაც საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზეა მიღებული. ეს იქნება ქალის როლი პოლიტიკაში, დამოკიდებულებები გენდერულ კვოტირებასთან დაკავშირებით, საჯარო დაწესებულებებში არსებული სტატისტიკა გენდერული ნიშნით და ა.შ.

ნაშრომი შედგება სამი თავისგან. პირველი თავი მომოიხილავს ზოგადად გენდერული თანასწორობის არსს და იმ საერთაშორისო და ადგილობრივ კანონმდებლობას, რაც გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით არსებობს.

მეორე თავში უშუალოდ განხილულია ქალისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების საკითხი. ასევე ის სახელმწიფო მექანიზმები, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს თანაბარი შესაძლებლობების განვითარებას საჯარო პოლიტიკაში. ეს იქნება საარჩევნო სისტემის ცვლილება, კვოტირების შემოღება თუ სხვა.

მესამე თავი ძირითადად ეთმობა კვლევის ანალიზს, რომელიც შეეხება საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა გენდერულ სტატისტიკას. აქვეა წარმოდგენილი დასკვნა და რეკომენდაციები, სადაც შეჯამებულია საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტები.